



ს ა კ ა დ ე მ ი ი ს უ ნ ყ ე ბ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქბ. შიშული. საზღვრუიება — ოჯახი. ზნეობა. ცნადიყია
ცილბა. ვანაიილება. ვანსნაილეა — ერთეულეობა. სიყიარული. თიხადილეობა



№12, სექტემბერი, 2019



ქართველი ფიზიკოსის
ლევან ცინცაძის მოკლე
ისტორია

ქართველი ფიზიკოსის **ლევან ცინცაძის** მოკლე ისტორია.

ლევან ცინცაძეს, საერთაშორისო დონზე აღიარებულ ქართველ მეცნიერს, შეიძლება მიესადაგოს გენიალური შოთა რუსთაველის სიტყვები: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“. ამ სიტყვებით დიდმა მგოსანმა ფიზიკის დიდი კანონი ინინასწარმეტყველა — მატერიის ანუ ენერჯის შენახვის კანონი. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ადამიანი ნიჭიერია, მაშინ ეს ნიჭი მისი ორგანიზმიდან გარეთ უნდა დადმოვიდეს.

მისი ცხოვრების გზა მკაფიოდ მოჩანს მისსავე განვლილობაში. დაიბადა ის ქ. თბილისში, 1969 წლის 20 ივლისს. სწავლობდა თბილისის პირველ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1986 წელს. იმავე წელს გახდა მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და გამოყენებითი ფიზიკის ფაკულტეტის

სტუდენტი. ეს ინსტიტუტი იმ ხანად ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო საბჭოთა კავშირში, სადაც ოქროს მედალოსნები მისაღებ გამოცდებს ყველასთან ერთად აბარებდნენ. 1989 წელს რუსეთში საყოველთაო არეულობის დროს მდგომარეობა ინსტიტუტის ტერიტორიაზეც შეიცვალა, სადაც სხვადასხვა ბანდები გამოჩნდნენ და ქურაში მათ დაპირისპირებას, სამწუხაროდ, შემთხვევით, სტუდენტების დაღუპვა მოჰყვა. ამის გამო ლევანი თსუ-ში გადმოვიდა მე-5 კურსზე და 1990 წელს სწავლა თბილისში დაასრულა. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენიდან 2 წლის თავზე, დაიცვა რა დისერტაცია, ლევან ცინცაძემ



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის (ნამდვილი წევრის) არჩევა

20 სექტემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, რომელმაც აკადემიის ნამდვილი წევრად აირჩია **რამაზ ხუროძე** (სპეციალობა მართვის სისტემები). აკადემიის გამოცემა „უნეყებები“ ულოცავს მას ამ დიდი პატივს და უსურვებს შემდგომ წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას.

INTERNATIONAL ATOMIC ENERGY AGENCY UNITED NATIONS EDUCATIONAL, SCIENTIFIC AND CULTURAL ORGANIZATION INTERNATIONAL CENTRE FOR THEORETICAL PHYSICS I.C.T.P., P.O. BOX 586, 34100 TRIESTE, ITALY, CABLE: CENTRATOM TRIESTE		
SPRING COLLEGE ON PLASMA PHYSICS 27 May - 21 June 1991		
PRELIMINARY PROGRAMME ALL LECTURES FROM 27 MAY - 14 JUNE (FIRST 2 WEEKS) WILL BE HELD IN THE MAIN LECTURE HALL, MAIN BUILDING ALL LECTURES FROM 14 JUNE - 21 JUNE (LAST WEEK) WILL BE HELD IN THE MAIN LECTURE HALL, ADRIATICO GUESTHOUSE		
WEEK 3		
Monday, 19 June		
09.00 - 10.00	D. FFIRSCH	Negative-energy Modes in Collisionless Kinetic Theories and their possible relation to nonlinear instabilities I
10.00 - 10.30	BREAK	
10.30 - 11.30	R. BENSTON	Turbulence & Transport Expts. I
11.30 - 12.30	S. M. MAHAJAN	Ballooning transform Revisited
LUNCH BREAK		
14.00 AFTERNOON SESSION		
STRUCTURED RESEARCH - COMPUTATION PHYSICS - POSTER SESSIONS		
Tuesday, 20 June		
09.00 - 10.00	L. KOVRIZHNYKH	Neoclassical Transport I
10.00 - 10.30	BREAK	
10.30 - 11.30	V. SHARKA	Solution of Nonlinear Vlasov-Poisson System
11.30 - 12.30	L. TSINTSADZE	Self Focussing in Wake Fields

ჩანართი 1.

ფიზიკა-მათემატიკის კანდიდატის ხარისხი მოიპოვა.

იმავე 1991 წლის იანვარ-აპრილში ინგლისის ორგანიზაცია JET Joint Undertaking-ის მიწვევით 22 წლის ახალგაზრდა

მეცნიერი ოქსფორდში იმყოფებოდა, სადაც მან ერთი საინტერესო შრომა დაასრულა. იმავე წლის მაის-ივნისში თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრ-

INTERNATIONAL ATOMIC ENERGY AGENCY
UNITED NATIONS EDUCATIONAL, SCIENTIFIC AND CULTURAL ORGANIZATION
INTERNATIONAL CENTRE FOR THEORETICAL PHYSICS
I.C.T.P., P.O. BOX 586, 34100 TRIESTE, ITALY, CABLE: CENTRATOM TRIESTE

04 June 1991

Dear Profs. Forlani and de Angelis,

Thank you for your invitation to visit your Department and give seminars during my stay at the College on Plasma Physics held at the ICTP, Trieste.

As I am giving lectures here, I will be able to come to Napoli at the end of the College, from 29 to 30 June.

I shall give two seminars on:

"Relativistic Waves in Plasmas" and "Electron - positron plasmas".

Looking forward to meeting you in Napoli.

I remain,


Yours sincerely,

L Tsintz

Levan Tsintsadze
Institute of Physics
Georgian Academy of Sciences
Tbilisi
Georgia
USSR

Profs. A. Forlani, U. de Angelis
Department of Physical Sciences
University of Napoli
Mostra d'Oltremare Pad. 19
80125 Napoli
Italy

ჩანართი 2.



ჩანართი 3.

მა ICTP-მა, რომელიც იტალიის ქ. ტრიესტში ნობელის პრემიის ლაურეატმა აბდულ სალამ-მა დააფუძნა, ლევანს ლექციის ნაკითხვა შესთავაზა, რაც ახალგაზრდა მეცნიერის დიდი აღიარება იყო. იხ. ჩანართი 1.

ახალგაზრდა მეცნიერის, აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ტრიესტში ყოფნის უამს, ნეაპოლის უნივერსიტეტის ორმა საკმაოდ ცნობილმა პროფესორმა მას ნეაპოლში ჩასვლა და ლექციების ნაკითხვა სთხოვეს, რაც მათდამი ლევანის მიერ მიწერილი საპასუხო წერილით დასტურდება. იხ. ჩანართი 2.

იმავე ხანებში სემინარზე მოხსენებების წასაკითხად ლევან ცინცაძე მილანის პლაზმის ინსტიტუტშიც მიიწვია.


ამ დროს ემთხვევა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების შეხედულებები ახალგაზრდა მეცნიერზე:

აკადემიკოს ბ. კადომცევისა. იხ. ჩანართი 3.

აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის ვ. სილინისა. იხ. ჩანართი 4.

აგრეთვე, უკრაინისა და შვეიცრიის მეცნიერებათა აკადემიკოსის ა. სიტენკოსი. იხ. ჩანართი 5.

თუ რატომ გახდა ლევანი ახალგაზრდულ ასაკში ასეთი პოპულარული მეცნიერი, კარგად აქვს ახსნილი ბოხუმში რურის უნივერსიტეტში დასაქმებულ განთქმულ გერმანელ პროფესორს, თავისი დარგის დიდ სპეციალისტს, პადმა შუკლას. ტორონტოს უნივერსიტეტის თეორიული ასტროფიზიკის ინსტიტუტის პროფესორის რიხარდ ბონდისადმი მიწერილ წერილში. მასში აღწერილია, რომ ლევანმა, როგორც ავტორმა, 22 წლის ასაკში მარტომ გამოაქვეყნა დაბალი ენერგიების ფოტონების გე-



ჩანართი 4.

ნერიების ძალიან ახალი მექანიზმი, რითაც ახალი სიტყვა ითქვა ფიზიკაში. იხ. ჩანართი 6.

1999 წელს ლევანმა მიიღო ბარათი ამერიკის პოპულარული გამომცემლობის Nova-ს რედაქტორისგან, რომელშიც რედაქცია მას სთხოვდა ერთ-ერთი ნიგნის (კრებულის) რედაქტორობას და მასში საკუთარი მიმოხილვითი შრომების გამოქვეყნებას. იხ. ჩანართი 7.

ქვემოთ ნაჩვენებია ნიგნი „ფოკუსირება ასტროფიზიკურ გამოკვლევებზე“, რომელშიც დაიბეჭდა ლევან ცინცაძის ორი

საკმაოდ მოცულობითი შრომა. იხ. ჩანართი 8.

ლევან ცინცაძის პროფესიული მოღვაწეობის თანმიმდევრობა ასეთია:

1992 წლის ივნისი – მეცნიერი თანამშრომელი, ელ. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი. თბილისი.

1994 წლის მაისი – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იქვე.

1993-1994 წლებში მუშაობდა ქ. იულიხის (გერმანია) პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტში.


1994-1995 წლებში იყო Postdoctoral Fellow antverpenis (ბელგია) უნივერსიტეტი.

1995-1996 JSPS Postdoctoral Fellow ჰიროსიმა (იაპონია) უნივერსიტეტი.

1996-1998 Lecturer, ოსაკის უნივერსიტეტი (იაპონია).

1998-2000 მეცნიერი თანამშრომელი იაპონიის ატომური ენერჯის კვლევის ინსტიტუტი (იაპონია).

2001-2003 პროფესორი, ჰიროსიმა უნივერსიტეტი (იაპონია).



Dear Sir,
With this letter I would like to introduce Dr. Levon N. Tsintsadze.

I know Dr. Tsintsadze as he conducts mutual research with the scientists of the Bogolyubov Institute for Theoretical Physics (Kiev). I have been following his works on Plasma Wakefield problem, and on Radiation Electron-Positron Dynamics. His works on these problems were published in several international physical journals and proceedings of international conferences on plasma.

Dr. Tsintsadze was the first to show that the value of the wakefield amplitude depends strongly on the phase velocity and with its decrease the amplitude increases. This effect is of great importance for the construction of the new types of accelerators. Actually and practically there are three-dimensional beams and it is very important when the wakefield is formed to consider the process of self-focusing. To this end Dr. Tsintsadze formulated the generalized set of equations describing the evolution of relativistically intense circularly polarized HF waves. He had shown that the electron-positron pairs generated by the relativistic wakefields essentially reduce the amplitudes of the latter.

In several works by Dr. Tsintsadze the sound waves in a relativistically hot electron-positron plasma were investigated when the pressure of the photon gas was determining and the sound wave velocity was found at arbitrary temperature. Several effects which appear in such plasmas at propagation of relativistically intensive electromagnetic waves were also studied. Those results are

ჩანართი 5.

2004-2005 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დანესებულების – მეცნიერებისა და ტექნოლო-

გიების დეპარტამენტის თავმჯდომარე.

2005 წლის ივნისიდან საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი.

2005-2013 უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ელ. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი.



Weiraum- und Astrophysik

Prof. Dr. Padma Kant Shukla
Theoretische Physik IV
Nuklearer System • D-4430 Bochum, Germany

Prof. Dr. Richard Hood
Canadian Institute for Theoretical Astrophysics
University of Toronto
60 St. George Street
Toronto, Ontario, Canada, M5S 3H8
Canada

Prof. Dr. Padma Kant Shukla
Theoretische Physik IV - NB 7/23
Fakultät für Physik und Astronomie
Telefon: +49 (234) 32-23759
Fax: +49 (234) 32-14177
E-mail: ps@tp4.nhr-uni-bochum.de
http://www.tp4.nhr-uni-bochum.de/ps

23.11.2003

Subject: Letter of Support for Dr. Levan Tsintsadze

Dear Professor Ross:

Dr. Levan Tsintsadze has requested me to write a letter of recommendation for him as he has applied for a senior research associate position at CITA.

I know Dr. Levan Tsintsadze since 1989 when I met him in Tbilisi during a conference. At that time he was a graduate student in Moscow and was carrying out research work in the area of relativistic astrophysics. After graduation, he went to KFA Jülich (Germany) for a postdoctoral position, and after that he moved to Japan on a post-doctoral fellow to work under the supervision of Prof. Nishikawa and F. Mima who are distinguished plasma physicists.

Dr. Levan Tsintsadze also worked with me in the area of nonlinear relativistic effects in pair plasmas as well as in relativistic magnetohydrodynamics. I have observed his scientific potentials, which is described below:

Levan is a young and dynamic physicist and has a profound knowledge of nonlinear plasma physics with applications to astrophysics. In his classic paper (Sov. J. Plasma Phys. 17, 872, 1991), he produced a new mechanism for the generation of low energy photons by relativistically intense electromagnetic waves in a homogeneous plasma. He developed a MHD theory for relativistically hot electron-proton plasmas, taking into account fully nonlinear and radiation effects. Within the framework of the newly derived MHD equations, he was then able to investigate the propagation of simple waves, formation of shocks, generalized equation of states (Tsai's adiabatic equation), generation of inhomogeneous fields (hundreds of megagauss). These investigations have advanced our knowledge for a better understanding of numerous phenomena in astrophysical environments.

Recently, his research interest is diversified in the areas of dense photon physics and nonlinear spintronics plasma interactions. In collaboration with some distinguished European physicists, he developed it

UNIVERSITÄT BOCHUM
DEPARTMENT FÜR PHYSIK UND ASTRONOMIE
FAKULTÄT FÜR PHYSIK UND ASTRONOMIE
BOCHUM

ჩანართი 6.

2013 წლის ივნისიდან დეკემბრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი.

2013-2019 საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში.

2019 წლის მარტიდან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ელ. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი.

ლევან ცინცაძე დღეს ისეთი დარგების ექსპერტია, როგორცაა: ძლიერი გამოსხივების გარემოსთან არანრფიული რელატივისტიკური ურთიერთობა; თეორიული პლაზმა-ფიზიკა; ასტროფიზიკა; ნეიტრინო პლაზმის ფიზიკა. მისი პროფესიული მოღვაწეობიდან ჩანს, რომ ის,

ახალგაზრდობიდან დაწყებული, ინტენსიურად და წარმატებით მუშაობდა მეცნიერებაში, აგრეთვე, მას იზიდავდა სახელმწიფო სამსახურში გარკვეული დროით მუშაობა. ეს ბუნებრივი რამაა, რადგან არსებობენ ორი კატეგორიის მეცნიერები: ერთნი მხოლოდ მეცნიერებით არიან დაკავებული და სხვა საქმის კეთება არც კი წარმოუდგენიათ. მეორენი კი, გარდა მეცნიერებისა, სახელმწიფო სამსახურშიც ხედავენ თავიანთ ასპარეზს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ნიუტონი, კულონი, ლაპლასი. ლაიბნიცი გერმანიის ელჩი იყო საფრანგეთში, ხოლო ბენჯამენ ფრანკლინი ამერიკისა საფრანგეთსა და შვეიციაში. ქართველ მეცნიერთაგან ამ რიგის მეცნიერები იყვნენ ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ჯიბლაძე, ილია ვეკუა და სხვები.

NOVA Science Publishers, Inc.

6389 Jettchua Turnpike, Suite 207,
Commerce, New York 11734-3408, USA
Tel: (516) 499-3333/3186 • Fax: (516) 499-3166
E-mail: NovaScience@earthlink.net • NovaSci@nol.com
http://www.nova-science.com/nova

October 27, 1999

Dr. L. N. Tsintsadze
Osaka University
Inst. Of Laser Engng.
Dept. of Physics
Osaka, Japan

Dear Dr. Tsintsadze:

We have located your article published in Plasma Physics and Controlled Fusion: Nova Science Publishers, Inc. currently publishes about 150 new titles each year, of which about 100 are in the social sciences. I would like to invite your participation in our publishing program. In particular, I have in mind an edited collection being assembled under my editorship entitled, "Plasma Physics Research." The contributions for this edited book are assumed to range from 5,000-15,000 words. We would also welcome your participation by serving as the editor of a combined work on this subject or by proposing a monograph.

We would welcome the opportunity of working with you on this publication. A free copy is sent to all contributors, of course.

I look forward to hearing your thoughts on this idea.

Sincerely yours,
Richard Hood
Richard Hood
President and Editor-in-Chief

PC: dmh

P.S. We would welcome any proposals for new journals, either in paper or online, as well as for other new online products such as newsletters or research results.

ჩანართი 7.

2004 წელს ლევან ცინცაძემ წარმატებით დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. საინტერესოა, რომ მან დისერტაციაში შეიტანა 26 შრომა, გამოქვეყნებული ამერიკისა და ევროპის ძალიან მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ამათგან 12 შრომა მხოლოდ ლევანს ეკუთვნის, 14 შრომის

FOCUS ON
ASTROPHYSICS RESEARCH

Contributors

P. Descouvemont	Sergei Nikolaev
J. Donning - Davies	Rosalba Perna
Martin A. Hendry	Mario Rabinowitz
Shashi M. Kanbur	Abhik Kumar Sanyal
Daive Lazzati	Nial R. Tanvir
Li-Xin Li	Levan N. Tsintsadze

Chow-Chong Ngeow

Louis V. Ross
(Editor)

NOVA

ჩანართი 8.

თანაავტორები არიან: პ. შუკლა (გერმანია); ლ. სტენფლო (ნობელის პრემიის კომიტეტის ყოფილი წევრი, შვეიცია); მსოფლიოში აღიარებული იაპონელი მეცნიერები: კ. ნიშიგავა, კ. მიმა და ტ. ტაჯიმა. ლევანი ყველა ამ შრომის პირველი ავტორია.

ახლა შეგჩერდეთ მსოფლიოს მეცნიერთა შორის ლევან ცინცაძის პოპულარობის მიზეზზე. უკვე აღინიშნა, რომ სრულიად ახალგაზრდა, დამწყები მეცნიერი არაერთხელ იქნა მინვეული საერთაშორისო კონფერენციებში მოხსენებების გასაკეთებლად. აქადაც გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ის დამოუკიდებელ მეცნიერად ჯერ კიდევ ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში სწავლის დროს ჩამოყალიბდა. მას საკანდიდატო დისერტაციის დაწერისას და დაცვისას, ხელმძღვანელი არ ჰყოლია, სამეცნიერო მიმართულებაც თვითონ აირჩია და პრობლემებიც თვითონ მონახა. მის მიერ ახალი მიმართულების აღმოჩენისა და გამოქვეყნების გამო, დაიწყო მისთვის საერთაშორისო კონფერენციებზე პლენარული და ზეპირი მოხსენებების დაკვეთა. 1997 წელს ვარენაში (იტალია) ჩატარდა

პირველი საერთაშორისო კონფერენცია პლაზმის ფიზიკაში. ამ კონფერენციის მოხსენებები წიგნის სახით გამოსცა ამერიკის ფიზიკის ინსტიტუტმა (AIP). კონფერენციაზე ლევან ცინცაძემ ოთხი მოხსენება გააკეთა და ოთხივე მოხსენება სრულად შევიდა აღნიშნულ წიგნში. ეს ფაქტი აღსანიშნავია იმიტომ, რომ საერთაშორისო კონფერენციებზე პლენარული თუ ზეპირი მოხსენების გაკეთებისას საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის ნებართვაა საჭირო. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლევანის ოთხივე მოხსენება იყო ორიგინალური და საინტერესო და რაც მთავარია, ახალი იდეის შემცველი.

ქვემოთ მოტანილია, ქართველი ფიზიკოსის პიონერული შრომები სინთეზზე და პლაზმის ფიზიკაზე, პლაზმურ ასტროფიზიკაზე, ნეიტრონო პლაზმის ფიზიკაზე, მტვრიანი პლაზმის ფიზიკაზე, კვანტური პლაზმის ფიზიკაზე. მასვე ეკუთვნის ელექტრომაგნიტური ველების რელატივისტური თეორიის შექმნა.

1. რელატივისტური ინტენსივობის ელექტრომაგნიტური ტალღები {*Journal Plasma Phys.* 17, 872, (1991)}

2. ელექტრო-პოზიტრონული პლაზმის მაგნიტოჰიდროდინამიკა {*Phys. Rev. A* 46, 5288 (1992) USA}

3. ელექტრო-პოზიტრონულ პლაზმაში კავიტაციის მოვლენა {*Phys. Scripta*, 50, 783 (1994)}

4. რ ე ლ ა ტ ი ვ ი ს ტ უ რ ი დარტყმითი ტალღები ელექტრო-პოზიტრონულ პლაზმაში {*Phys. Plasma*, 2, 4495 (1995), USA}

5. შავი-სხეულის გამოსხივება პლაზმაში {*J. Plasma Phys.* 55, 407 (1996)}

აქ პირველად არის ნაჩვენები, რომ ფოტონი ვაკუუმში სულ მოძრაობაშია, თუ გავაჩერებთ, ის გაქრება. ლევანის შრომამ აჩვენა, რომ პლაზმაში ის ხდება

ჩვეულებრივი ნაწილაკი, მას უჩნდება გაჩერებული მასა.

6. ფოტონთა გაზის ფიზიკის ახალი ასპექტები.

ამ შრომაში პირველად არის ნათქვამი და ნაჩვენები, რომ გარდა განივი ფოტონებისა არსებობენ გასწვრივი ფოტონები – ფოტონიკო. ეს სახელი ლევან ცინცაძეს ეკუთვნის. შრომა დაბეჭდილია გამოცემაში: {*Fucus on Astrophysic Research*, Editor Louis V. Ross, PP 149-170. (2003)}

7. ამავე წიგნში დაბეჭდილი გვერდები 171-190 შეიცავს წრფივი და არაწრფივი ნეიტრონო-პლაზმის ურთიერთქმედების თეორიას.

8. პირველად იქნა შექმნილი მკვირვ ფოტონთა გაზის რელატივისტური სტატისტიკური თეორია {*Phys. Rev. E* 76, 016406 (2007)}

9. მრავალი წლის განმავლობაში უამრავ სტატიებში და მონოგრაფიებში გვხვდებოდა მტვრიანი ნაწილაკების მუხტის განტოლების გამოყენება. ლევან ცინცაძის მიერ ნაჩვენები იქნა, რომ ეს განტოლება არასწორია, რომ მისი გამოყენება ფიზიკას ეწინააღმდეგება. ქართველი ფიზიკოსის შრომის გამოქვეყნების {*Europhys. Lett*, 83, 15005 (2008)} შემდეგ შეწყდა მუხტის განტოლებასთან დაკავშირებული ნაშრომების გამოქვეყნება.

10. 2009 წელს, შვეიცარია და უკრაინაში გამართულ ორ საერთაშორისო კონფერენციაზე, მოხსენებული იქნა ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი შრომა – ფერმის ნაწილაკების შესახებ „ახალი კვანტური კინეტიკური განტოლებები“. ეს შრომა შემდგომში გამოქვეყნდა ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ ჟურნალში {*Europhys. Lett*. 88, 35001 (2009)} ამგვარად, საქართველოს გააჩნია ახალი კვანტური კინეტიკური განტოლებები.

11. 2010 წელს AIP-მა გამოაქვეყნა ლევან ცინცაძის შრომა, რომელიც ავტორმა წაიკითხა

ტრიესტში (იტალია) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე და რომელშიც პირველად იყო განხილული კვანტური ეფექტები გარეშე მაგნიტურ ველში.

12. ლევან ცინცაძე აგრეთვე დაინტერესდა ნეიტრალური ფერმის სითხეებით, როგორც არის He³ და აჩვენა, რომ ნულოვანი ბგერის შესწავლის დროს ნობელის პრემიის ლაურეატის, დიდი მეცნიერის ლანდაუს თეორია არაზუსტია, რასაც მოჰყვა ამ თემაზე მისი სტატიის გამოქვეყნება {*Journal Low, temp. Phys.* 37,982 (2011)}

13. 2018 წელს ქართველმა მეცნიერმა შეისწავლა მნიშვნელოვანი გალაკტიკების სხვადასხვანაირობის პრობლემა და დაადგინა თუ რატომ არ არსებობენ სამყაროში ერთნაირი გალაკტიკები. მისი ახალი მოსაზრება გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალში {*Phys. Plasmas*, 25, 073705 (2018) USA}

14. 2018 წელს, ამავე ამერიკულ ჟურნალში დაიბეჭდა ლევან ცინცაძის გამოკვლევა, ადრე მის მიერვე აღმოჩენილი, ახალი დაბალი სიხშირის მაგნიტოჰიდროდინამიკური ტალღების შესახებ {*Phys. Plasmas* 25, 120702 (2018) USA} რომლებიც მაგნიტური კვანტური ძაფების ტალღებს წარმოადგენენ.

აშშ-სა და საქართველოს შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობისთვის აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის ჯილდოს მფლობელი მეცნიერის ლევან ცინცაძის, ბოლოდროინდელი აქტივობა გვაფიქრებინებს, რომ მისგან კვლავაც საინტერესო შრომებს უნდა ველოდეთ, რომელთა პუბლიკაცია, მსოფლიოს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში დღეის-დღეობით გამოქვეყნებულ მისი შრომების შთამბეჭდავ რიცხვს 64(90) კიდევ უფრო გაზრდის და შთამბეჭდავს გახდის.

კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა – მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

მალსაზ გააძღვა

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი-პრეზიდენტი, პროფესორი

თქვენს ყურადღებას შევამჩნევ კონფერენციაზე განსახილველ რამდენიმე მნიშვნელოვან თეორიული, პრაქტიკული და ინფორმაციული ხასიათის საკითხზე: პირველი – კრიმინოლოგიის განვითარების ისტორია, მისი მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში; მეორე – კრიმინოლოგიის ადგილი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში;

140 წლის წინ, 1879 წელს ტერმინი – „კრიმინოლოგია“ შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა, ექიმ-ანთროპოლოგმა პოლ ტოპინარმ. ხოლო შემდგომ 1885 წელს იტალიელმა მეცნიერმა, იურისტმა რაფაელო გაროფალომ გამოსცა პირველი მონოგრაფიული ნაშრომი სახელწოდებით „კრიმინოლოგია“. მას შემდეგ, აღნიშნული ტერმინი და მოძღვრება გავრცელდა და დამკვიდრდა.

კრიმინოლოგიის განვითარების შედეგად კლასიკურიდან – თანამედროვე პერიოდად ცნებებმა და ტერმინებმა ფართო მნიშვნელობა შეიძინა, როგორც სოციალურ-სამართლებრივმა მეცნიერებამ, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის დანაშაულობას, მის მიზეზებსა და დანაშაულობის თავიდან აცილების საკითხებს.

საქართველოს ისტორიაში წარმოდგენა დანაშაულობის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს, რომელიც ქართული ფილოსოფიისა და სამართლის ისტორიის ნიაღში ჩამოყალიბდა და განვითარდა. ამ მიმართულებით კვლევებს განსაკუთრებული ყუ-

რადღება დაუთმო აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომლის ნაშრომებიდან მომდინარეობს კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინი – „დანაშაულობა“.

რუსეთის იმპერიისა და შემდგომ, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართული კრიმინოლოგია ორგანულად უკავშირდებოდა რუსულ კრიმინოლოგიურ სკოლას, რადგან სახელმწიფოს, მეცნიერებისა და განათლების სისტემის მართვა, იმპერიის პრეზერვაცია იყო.

საქართველოში ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რეპუბლიკებში, ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგია ხელს უშლიდა სამართლებრივი, მათ შორის კრიმინოლოგიური აზროვნების განვითარებას, რადგან ითვლებოდა, რომ სოციალიზმის განვითარებასთან ერთად გაქრებოდა დანაშაულობაც, როგორც კაპიტალიზმის გადმონაშთი. აღნიშნული მითი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად თანდათანობით ინგრეოდა.

კრიმინოლოგიის მიმართულებით საქმიანობა ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოცოცხლდა, რაზეც პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, ზეგავლენა იქონია პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერებმა. ამ მხრივ აღსანიშნავია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპოდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის, პროფესორების ანზორ გაბიანის, თამაზ შავგულიძის, გელა ბანძელაძის, ნიბლია უგრეხელიძის, რევაზ ჭოლოშვილის, ზაურ ნულაიას და სხვათა მოღვაწეობა.

ამ მიმართულებით ქვეყანაში არაერთი სახელმწიფო ორგანიზაცია მოქმედებდა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილება, ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი და დანაშაულობის წინააღმ-



დეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, პოლიციის აკადემიის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა, საქართველოს გენერალური პროკურატურის საბაზისო კათედრა, საქართველოს უშიშროების სამინისტროში აკადემია, შესაბამისი კათედრებით და სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, რომლებიც 2003-2006 წლებში გაუქმდა.

დანაშაულის პრობლემები ყოველთვის იყო და არის ყველაზე უფრო მგრძობიარე. განსაკუთრებით, ჩვენს სახელმწიფოში რომლის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და საზოგადოებაში ჯერ კიდევ იგრძობა წარსულიდან შემორჩენილი ე.წ. „სისტემური დანაშაულობის“ შედეგები. აღნიშნულ ფაქტორებს ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სახელმწიფო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნული ინსტიტუციების ახალი ფორმატი არსებობა მნიშვნელოვანია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ახლად

შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსათვის, მათზე დაკისრებული ფუნქციების მაღალი სტანდარტებით რეალიზაციის მიზნით, ევროკავშირის რეკომენდაციის შესაბამისად, სახელმწიფო სტრუქტურებისა და აკადემიური წრეების ერთობლივი კვლევების განსახორციელებლად.

„პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი,“ რომელშიც პოლიციის ტერმინში იგულისხმება სამართალდამცავი ფუნქციის მქონე ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, აღნიშნულია, რომ „ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ კვლევებს, როგორც თვითონ პოლიციაში ასევე გარე ორგანიზაციების მიერ“ – ამ მიმართულებით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სისტემის შიგნით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბება და უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წარმოება, მასში კვალიფიციური სპეციალისტების, მეცნიერებისა და მკვლევარების მოწვევა-ჩართვა, რომელიც სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, რეფორმებზე, სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მეცნიერულ-ექსპერტულ რჩევებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს შეიმუშავებს. მნიშვნელოვანია ასევე, სისტემის გარეთ არსებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რაც გაცილებით ეფექტურს გახდის სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტს, რადგან დრომ და არსებულმა გამოწვევებმა გვიჩვენა, რომ სამართალდამცავი, სპეციალური სამსახურების სტრუქტურების საბოლოო პროდუქტის მისაღებად არაა საკმარისი მხოლოდ საინფორმაციო-ანალიტიკური და ოპერატიული მასალა, საჭიროა საკითხისადმი მაღალი სტანდარტებით კომპლექსური მიდგომა, სამეცნიერო-კვლევით მიღებული შედეგებით შევსება და ერთიანი სახით წარმოდგენა-გააზრება. მსგავსი პრაქტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროში აპრობირებული იყო არც თუ შორეულ წარსულში.

საქართველოს მეორე პრეზიდენტ **ედუარდ შევარდნაძის** შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობისას, მისი ინიციატივით მოიძებნა ამ მიმართულებით საქმიანობის არაერთი ფორმა. სამინისტროში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა კვლევითი ცენტრი, რომელთა საქმიანობაში ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები იყვნენ ჩაბმული. რადგან ჩვენ ვიმყოფებით მეცნიერების ტაძარში, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისინი: აკადემიის პრეზიდენტები **ნიკოლოზ მუსხელიშვილი** და **ილია ვეკუა**, აკადემიკოსები: **კონსტანტინე გამსახურდია**, **შალვა ნუცუბიძე**, **აკაკი შანიძე**, **ირაკლი აბაშიძე**, **თინათინ წერეთელი**, **ავლიპ ზურაბიშვილი**, **პაატა გუგუშვილი**, **ვიქტორ კუპრაძე**, **ივანე ბერიტაშვილი**, **სერგო ჯორბენაძე**, **გივი ინწკირველი** და სხვები. ისინი სხვადასხვა აქტივობებით ამ პრობლემატიკაზე მეცნიერული კვლევებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით, მოსახლეობასთან და სამართალდამცველებთან საუბრებით, ასევე მასმედიის საშუალებებით, შეხვედრებით და საჯარო გამოსვლებით ჩართული იყვნენ დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი აზროვნების, მართლშეგნების ჩამოყალიბების, სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საკითხებში. აღნიშნული ინსტიტუტები უზრუნველყოფდა ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე, ანტისაზოგადოებრივ მოვლენებზე: ლოთობაზე, ნარკომანიაზე, პროსტიტუციაზე და სხვა სახის დანაშაულობებზე საინფორმაციო-ანალიტიკური მასალის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით სრულყოფას და აღნიშნულთან ბრძოლაში საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კრიმინოლოგიის ადგილს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში, უნდა აღინიშნოს, რომ 2001 წელს მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი“, რომელმაც არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2007-2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერილი პროექტი „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“, რომელმაც კრიმინოლოგიის პრობლემათა დაინტერესებული ფართო საზოგადოება გააერთიანა. აღნიშნულ პროექტს მხარი დაუჭირა ამერიკის კრიმინოლოგიურმა საზოგადოებამ და მისმა აღმასრულებელმა დირექტორმა, პროფესორმა **კრის ესკრიჯმა**, რომელმაც პირადად მიიღო თბილისში, პროექტის შემაჯამებელ მუშაობაში მონაწილეობა.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 2007 წლიდან გამოიცემა საერთაშორისო, საინფორმაციო, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“. ამავე წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა კრიმინოლოგიური კვლევების ლაბორატორია, რომელიც 2010 წელს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გარდაიქმნა.

კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებებთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევებმა დაგვანახა ის პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის არარსებობით. აღნიშნული მდგომარეობა აფერხებს და არაეფექტურს ხდის კრიმინოლოგიის სწავლებას, კვლევებს, მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამ-

ოყალიბებას და სისტემურ განვი-
თარებას.

არსებული მდგომარეობის მიზეზები და მისი ხელშემწყობი პირობები ქვეყნის გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, არის სუბიექტურიც და ობიექტურიც. რომლებსაც გლობალური ფაქტორები განაპირობებენ. კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, ცალკეული მეცნიერები კრიმინოლოგიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში ფილოსოფიის, სოციოლოგიის, სამართლის ან სხვა მეცნიერებების გავლენით არაერთმნიშვნელოვნად, სხვადასხვა მეცნიერებების შემადგენლობაში განიხილავენ: კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში კრიმინოლოგია სისხლის სამართლის წიაღში წარმოშობილი დანაშაულობის, როგორც სოციალურ-სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერებაა, ხოლო ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებად მოიაზრება. შესაბამისი მდგომარეობაა კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინებისა და ცნებების გაგებაში.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ისტორიულია და კრიმინოლოგიის წარმოშობის სათავეებს, სისხლის სამართლის ევროპულ კლასიკურ სკოლას უკავშირდება. თანამედროვე პერიოდში კრიმინოლოგიის ტერმინმა უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მსოფლიო თითქმის ყველა ასპექტით ერთიან გლობალურ სივრცედ იქცა, აღნიშნულმა გავლენა იქონია დანაშაულობის სტრუქტურულ შემადგენლობაზე.

გლობალიზაციის შედეგები განსაკუთრებით შეიგრძნობა საქართველოში, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში, რადგან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში „კომუნისტური რეჟიმების“ ჩამოშლამ, რუსეთის მხრიდან საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიების ოკუპაციამ, კა-

პიტალისტური საზოგადოების არათანმიმდევრულმა ჩამოყალიბებამ, საზღვრების ფაქტობრივმა გაუქმებამ, უვიზო მიმოსვლამ, მიგრაციამ, ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ უარყოფითად იმოქმედა უსაფრთხოების სისტემებზე, ხელი შეუწყო დანაშაულობის გლობალიზაციას, რამაც გავლენა იქონია მის მდგომარეობასა და სტრუქტურაზე, ეროვნული კრიმინოლოგია გარდაიქმნა საერთაშორისო კრიმინოლოგიად, მოხდა კრიმინოლოგიის გლობალიზაცია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად საკითხებში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობას. ამის კარგი მაგალითია სამართლის კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკულ სისტემებს შორის დაახლოების პროცესი, რაც კრიმინოლოგიაზეც იქონიებს გავლენას.

კრიმინოლოგიაზე, როგორც მეცნიერებაზე წარმოდგენები საზოგადოების ევოლუციის პროცესთან ერთად წინააღმდეგობრივად ვითარდება, რაც მეცნიერული კვლევებისათვის, მისი შემდგომი განვითარებისათვის მისაღები და სასარგებლოა. ხოლო, რაც შეეხება განათლებასა და სწავლებას, მათზე უარყოფითად მოქმედებს. აქ მეთოდოლოგიური სიზუსტეა მნიშვნელოვანი, რასაც კრიმინოლოგიის თეორიაში მომუშავე მეცნიერებიც მიიჩნევენ.

კრიმინოლოგიაში ევოლუციური პროცესების კვლევამ გამოავლინა კონსტიტუციური კრიმინოლოგიის ძირითადი არსის მართებულობა, რომლის მიხედვით დანაშაულობის შესწავლა შეუძლებელია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისაგან განცალკევებით. ამიტომაც, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თანამედროვე კრიმინოლოგიაში, როგორც ანგლო-ამერიკულ, ისე კონტინენტურ ევროპის ქვეყნებში, ასევე ჩვენი კონფერენციის მონაწილეებიც ძირითადად თანხმდები-

ან „კრიმინოლოგიის“, როგორც მეცნიერების კომპლექსურობაზე, ინტერდისციპლინარულ საგანზე, სოციალურ-სამართლებრივ და არამართ ამ მეცნიერებების შემადგენელით, რადგან მისი კვლევის საგანი ფართო გაგებით დანაშაულებრივი ქცევის ყველა ფორმის, მისი დეტერმინანტების, დანაშაულის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის, დანაშაულობის თავიდან აცილებისა და კონტროლის გზების ძიების მეცნიერული გააზრებაა.

საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, მეცნიერები ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო სხვადასხვაგვარად განიხილავენ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. ამ კონტექსტში აქტუალურია ზოგიერთი ძირითადი ცნების — „დანაშაულობის“, „ლატენტური დანაშაულობის“, „დამნაშავის პიროვნების“, „დანაშაულობის მსხვერპლის“ და სხვათა კვლევა, რადგან კრიმინოლოგიაში მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით აუცილებელია საერთაშორისო დონეზე ერთიანი ხედვისა და სტანდარტების ჩამოყალიბება, რაც გავლენას იქონიებს კრიმინოლოგიის თეორიულ სწავლებაზე და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

უკანასკნელ წლებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განხორციელდა არაერთი კრიმინოლოგიური კვლევა, მომზადდა და დაცული იქნა ათობით დისერტაცია, გამოიცა რამდენიმე კრიმინოლოგიური სახელმძღვანელო, რაც არასაკმარისად მიგვაჩნია.

რადგან, უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი 50-მდე სამართლის სკოლიდან კრიმინოლოგია ისწავლება მხოლოდ 20%-ში და მათ შორის, სავალდებულოა მხოლოდ ნახევარში. კრიმინოლოგიაში, როგორც სპეციალისტების, ისე სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების დეფიციტია, საგანმანათლებლო სისტემაში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საჯარო და უმაღლეს სკოლებში არ ისწავ-

ლება ვიქტიმოლოგიის საკითხები. კრიმინოლოგიის მიმართულებით შესაბამისად არ ცხადდება სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები. სუსტია პრაქტიკული საქმიანობის თეორიული ბაზით უზრუნველყოფა, რაც სამართლისა და კრიმინოლოგიის მეცნიერებების, მასთან დაკავშირებული მართლმსაჯულების, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების სისტემების საქმიანობის შედეგებზე უარყოფითად მოქმედებს.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე მსოფლიოს, ამერიკის, ევროპის კრიმინოლოგიური საზოგადოებები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ დანაშაულობის კონკრეტული ფორმებისა და სახეობების კვლევა-ძიების საკითხებს, მეტად უნდა დაინტერესდნენ კრიმინოლოგიის ძირითადი თეორიული საკითხებზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებით, რადგან დღეს განათლების სისტემა და მისი შედეგები გლობალური ხასიათისაა.

ზემოაღნიშნული პრობლემების დასაძლევად და ეფექტური კოორდინაციის ხელისშეწყობის მიზნით, 2017 წელს ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების მხარდაჭერით დაარსდა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც არაფორმალურად წარმოადგენს ა.ა.ი.პ. „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ სამართალმემკვიდრეს, ამასთანავე აკადემია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონსულტანტის სტატუსი აქვს მინიჭებული.

რამდენიმე სიტყვით შევაჩერებ თქვენს ყურადღებას აკადემიის საქმიანობაზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში კრიმინოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებას, განვითარებას და საერთაშორისო ინტეგრაციას. ასევე კრიმინოლოგიაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პრაქტიკული პროექტების განხ-

ორციელებას და წახალისებას. აკადემიის ერთ-ერთი პრიორიტეტია სამთავრობო და არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით გაეროსთან, ამერიკისა და ევროპის კრიმინოლოგიურ საზოგადოებებთან თანამშრომლობა.

აკადემიაში განხორციელებულია კვლევები „საზოგადოება და პოლიცია“. რომელიც მიექვს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაარსებიდან 100 წლის იუბილეს და იდეა „მუნიციპალური პოლიციის შესახებ“, რომელიც 2018 წლის ივნისში წარედგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიას. ვფიქრობთ, პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთობისა და მუნიციპალური პოლიციის შექმნის საკითხები დღითი დღე აქტუალობას იძენს და სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მეტ დაინტერესებას იმსახურებს.

დანაშაულობის სოციალური ხასიათიდან გამომდინარე, აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კრიმინოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას-ვიქტიმოლოგიას – დანაშაულის მსხვერპლის, როგორც სოციალური მოვლენის შესწავლასა და თავიდან აცილებას. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საჭიროა მეტი კოორდინირებული მოქმედება სამართალდამცავ და სოციალურ სამსახურებს შორის, რადგან სოციალური მუშაკის საქმიანობა მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიქტიმაზაციის თავიდან აცილების მიზნით ჩვენი ხედვით მნიშვნელოვან გამოუყენებელ მექანიზმს წარმოადგენს. აკადემია აპირებს აღნიშნულ საკითხზე კვლევის გაგრძელებას და შედეგებს საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს წარუდგენს.

ვინაიდან ჩემი კოლეგები თავიანთ მოხსენებებში ყურადღებას გაამახვილებენ კრიმინოლოგიის

მნიშვნელობის სხვა ასპექტებზე, ამჯერად მხოლოდ ამით შემოვიფარგლები.

დღევანდელი საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიისათვის პირველია და გვსურს მხარდაჭერისა და ორგანიზებისათვის მადლობა მოვახსენოთ კონფერენციის ყველა მონაწილეს: კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს, განსაკუთრებით ორგანიზატორებს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და პირადად მის რექტორს, აკადემიკოსს **არჩილ ფრანგიშვილს**, უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ **ირაკლი გაბისონიას**, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს და პირადად მის რექტორს, პროფესორ **მამუკა თავხელიძეს**, ასევე მხარდაჭერისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, პირადად მის პრეზიდენტს, აკადემიკოსს **გიორგი კვესიტაძეს**. განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოებას, პირადად მის აღმსარებელ დირექტორს, პროფესორ **კრის ესკრიფს**, რომელიც საპატიო მიზეზებით ვერ ესწრება ჩვენს დღევანდელ კონფერენციას.

და ბოლოს, აკადემია ფიქრობს აღნიშნული საერთაშორისო კონფერენცია ჩაატაროს ყოველწლიურად, როგორც ამ მიმართულებით საქმიანობის შემაჯამებელი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კრიმინოლოგიის პრობლემებით დაინტერესებული ინსტიტუტები, მეცნიერები და პრაქტიკოსები.

რედაქტორი: ენვერ ნიჟარაძე
 დაკაბადონება: პაატა ქორქია
უნწყებები – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ათვლითი გამოცემა იბეჭდება აკადემიის სტამბაში